მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

Empowering *the* Change

დანართები:

დანართი 1. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 1)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ" (ACT).
პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი
მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩობანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

I. პირველადი კვლევა 4

II. მეორეული (სამაგიდე) კვლევა 10

დანართი 1. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით „ეისითიმ“ ჩაატარა მრავალმხრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული კვლევის მეთოდებს[1]. კვლევის ფარგლებში ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრესთან და ისინი მიზნად ისახავდა: (ა) როგორც პირველადი, ასევე მეორეული მონაცემების მოპოვებას და შესაბამისად, კვლევითი გუნდის უზრუნველყოფას ანალიზისთვის საჭირო მონაცემებით; (ბ) ფართო საზოგადოების ჩართულობას და მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფას ისეთ მნიშვნელოვან, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე მუშაობის დროს, როგორიც არის მეთევზეობის დარგობრივი კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.

I. პირველადი კვლევა

პროექტის ფარგლებში პირველადი მონაცემების მოპოვება მოხდა თვისებრივი[2] და რაოდენობრივი კვლევის[3] შემდეგი ორი სახით:

1) ჩაღრმავებული/სიღრმისეული ინტერვიუები[4] ძირითად ინფორმანტებთან (KIIs);
2) გამოკითხვა[5] მეთევზეებსა და თევზჭერის სფეროში ჩართულ მეწარმეებთან.

კვლევის პროცესში მოხდა კომუნიკაცია ათეულობით მხარესთან (ორგანიზაციები, დეპარტამენტები, უწყებები, ბიზნესები) სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების მიზნით. თუმცა, კვლევით გუნდის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მხარეების ნაწილმა უარი განაცხადი/არ გამოთქვა სურვილი კვლევაში მონაწილეობაზე. საბოლოოდ, 29 დაინტერესებულ მხარესთან ჩატარდა ინტერვიუ, ჯამურად ინტერვიუებში მონაწილეობა

---

[1] პირველადი არის კვლევა (primary research), როდესაც მკვლევარი თავად ატარებს კვლევას მონაცემების შესაგროვებლად. მეორეული კვლევა (secondary research) ასევე ცნობილია, როგორც "სამაგიდე კვლევა" (desk research) და გულისმობს არსებული მონაცემთა წყაროების (წიგნები, დოკუმენტები და ანგარიშები, სტატისტიკა და მონაცემები და ა.შ.) გამოყენებას კვლევაში.

[2] თვისებრივი კვლევა (qualitative research) გულისხმობს არა-რიცხობრივი მონაცემების (მაგალითად, ტექსტი, ვიდეო ან აუდიო) შეგროვებას და ანალიზს ცნებების, მოსაზრებების ან გამოცდილების გასაგებად. ის გამოიყენება დასმული საკითხის ირგვლივ სიღრმისეული შეხედულებების შესაგროვებლად ან კვლევისთვის ახალი იდეების შესაქმნელად. თვისებრივი კვლევის გავრცელებული მეთოდებია დაკვირვება, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები. (ავტორის შენიშვნა).

[3] რაოდენობრივი კვლევა (quantitative research) გულისხმობს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასა და მათი ანალიზისთვის სტატისტიკური ტექნიკების / მეთოდების გამოყენებას. რაოდენობრივი კვლევით გროვდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამიზნე კვლევითი ჯგუფებიდან სხვადასხვა სახის გამოკითხვების (surveys, polls, etc.) საშუალებით. (ავტორის შენიშვნა).

[4] ჩაღრმავებული / სიღრმისეული ინტერვიუ (in-depth interview) არის თვისებრივი კვლევის მეთოდი და მისი მიზანია, სიღრმისეულად შეისწავლოს რესპონდენტის თვალსაზრისი, გამოცდილება, პერსპექტივები შერჩეული საკითხის გარშემო. (ავტორის შენიშვნა).

[5] გამოკითხვა (survey) არის რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც გამოიყენება შესაბამისი მიზნობრივი რესპონდენტებისგან მონაცემების შესაგროვებლად. ის ბევრი დარგისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდოლოგიაა იმ დიდი სარგებლისა და უპირატესობის გამო, რაც მას აქვს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დროს. კვლევებიდან შეგროვებული მონაცემები სტატისტიკურად ანალიზდება, რათა მოხდეს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება. (ავტორის შენიშვნა).

მიიღო 39-მა რესპონდენტმა და ინტერვიუების რაოდენობამ შეადგინა 34. ინტერვიუები ჩატარდა 2024 წლის იანვარი-თებერვლის განმავლობაში, დამატებით ერთი ინტერვიუ ჩატარდა 2024 წლის ივლისში (**ცხრილი 1**).

ცხრილი 1. ინტერვიუების მონაწილე დაინტერესებული მხარეები და მათთან შეხვედრების გრაფიკი

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან (KIIs): დაინტერესებული მხარეების სია და ჩატარებული შეხვედრების გრაფიკი				
#	ორგანიზაცია	თანამდებობა	სახელი, გვარი	შეხვედრის დრო
	საჯარო ორგანიზაციები:			
	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო			
1	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ხელმძღვანელის მოადგილე	ლიკა გიორგაძე	2024 წლის 1 -ელი თებერვალი
	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების სამმართველოს ხელმძღვანელი	ნონა ხელაია	2024 წლის 15 თებერვალი
	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	ირინე ლომაშვილი	2024 წლის 15 თებერვალი
2	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი	აკვაკულტურის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი	არჩილ ფარცვანია	2024 წლის 1-ელი თებერვალი
3	სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი	სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი	მაია ბერუაშვილი	2024 წლის 25 იანვარი
4	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს უფროსი	ირაკლი ჭავჭანიძე	2024 წლის 25 იანვარი
	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის უფროსი	მაია ჩხობაძე	2024 წლის 30 იანვარი
5	სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	ნაკადულის კალმახის აღდგენის პროექტის მენეჯერი	შოთა ჯოხაძე	2024 წლის 9 თებერვალი
6	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მეთევზეობისა და აკვაკულტურის	რამაზ მიქელაძე	2024 წლის 29 იანვარი

		სამმართველოს უფროსი		
	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი	ზურაბ დეკანოიძე	2024 წლის 14 თებერვალი
7	ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო	პროექტების განვითარების დეპარტამენტის უფროსი	მარიამ გელაშვილი	2024 წლის 6 თებერვალი
8	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ანა გემაზაშვილი	2024 წლის 15 თებერვალი
	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარიის დეპარტამენტი	თეა ოშხერელი	2024 წლის 26 თებერვალი
	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარიის დეპარტამენტი	თორნიკე ხარგალაძე	2024 წლის 26 თებერვალი
	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
9	სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	დირექტორის პირველი მოადგილე	არჩილ ინასარიძე	2024 წლის 26 თებერვალი
10	სსიპ „აწარმოე საქართველოში“	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი პროგრამის მენეჯერი	ირაკლი ვეშაგური	2024 წლის 6 თებერვალი
	ადგილობრივი თვითმმართველობა			
11	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი	ჯიმშერ დიასამიძე	2024 წლის 13 თებერვალი
12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	მერის წარმომადგენელი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში	დავით გუმბარიძე	2024 წლის 9 თებერვალი
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	მერის წარმომადგენელი ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში	გიგა დოლიძე	2024 წლის 9 თებერვალი

13	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი ჩახვაძე	2024 წლის 5 თებერვალი
14	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ირაკლი ლეჟავა	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის ინოვაციებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების უფროსი	თეონა გეთია	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის ინვესტიციების მოზიდვისა და ტურიზმის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მელანო დგებუაძე	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე	ზვიად კობახიძე	2024 წლის 12 თებერვალი
	საერთაშორისო ორგანიზაციები:			
15	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida)	პროექტი „გადავარჩინოთ ბუნება-საქართველოს“ ბიომრავალფეროვნების მიმართულების კოორდინატორი	სოსო ქარცივაძე	2024 წლის 1-ელი თებერვალი
16	ცენტრალური აზიისა და კავკასიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის რეგიონალური კომისია (CACFish)	CACFish-ის სამდივნო / მეთევზეობისა და აკვაკულტურის უფროსი ოფიცერი	ჰაიდარ ფერსოი	2024 წლის 9 თებერვალი
17	ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისია (GFCM)	GFCM-ის სამდივნოს წარმომადგენელი	მიგელ ბერნალი	2024 წლის 15 ივლისი
	გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები:			

18	ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“	თავმჯდომარე	სოფიკო დიასამიძე	2024 წლის 30 იანვარი
19	საქართველოს ტივტივით სპორტული თევზჭერის ეროვნული ფედერაცია	პრეზიდენტი	თამუნა მეზურნიშვილი	2024 წლის 9 თებერვალი
20	M.A.P მოძრაობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ	ხელმძღვანელი	ზურაბ მუშკუდიანი	2024 წლის 5 თებერვალი
	ბიზნეს-ასოციაციები და კერძო სექტორი:			
21	„საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაცია“	ასოციაციის თავმჯდომარე	ნინო ორჯონიკიძე	2024 წლის 21 თებერვალი
22	„საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“	დირექტორი	გიორგი გოგოტიძე	2024 წლის 30 იანვარი
	„საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“	გამგეობის თავმჯდომარე	ვახტანგ ბაბილუა	2024 წლის 30 იანვარი
23	“საქართველოს თევზმომშენებელთა ასოციაცია”	თავმჯდომარე	ნინო ჩობანიანი	2024 წლის 26 თებერვალი
24	წალკის წყალსაცავის ლიცენზიანტი / შპს „ჯი ეფ სი“	დირექტორი	ზვიად ჯიქია	2024 წლის 6 თებერვალი
25	გადამამუშავებელი საწარმო „უმალი“	დირექტორი	დიმიტრი წვერავა	2024 წლის 7 თებერვალი
	საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები:			
26	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	ბელა ჯაფოშვილი	2024 წლის 7 თებერვალი
27	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ბიოლოგიის დოქტორი	რამაზ მიქელაძე	2024 წლის 29 იანვარი
28	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ნავიგაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	ანა შოთაძე	2024 წლის 23 თებერვალი
29	შპს სუხმან კონსალტინგი	საკონტაქტო პირი	გურამ შარაშენიძე	2024 წლის 29 იანვარი

ინტერვიუების შეჯამებები შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიხედვით (როგორც ეს მოცემულია **ცხრილი 1** -ში) დეტალურად წარმოდგენილია **დანართი 2**-ში.

გარდა ზემოაღნიშნული ინტერვიუებისა, 2024 წლის მაისი-ნოემბრის პერიოდში დამატებით გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის

სააგენტოს (Sida) ჩართულობით. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უშუალოდ სამინისტროსა და Sida-ს წარმომადგენლები, „ეისითი“ და მოწვეული ექსპერტები, ასევე, მეთევზეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, აღსრულებისა და კონტროლის განმახორციელებელი სხვა უწყებების წარმომადგენლები.

რაც შეეხება ჩატარებული პირველადი კვლევის მეორე სახეს - მეთევზეებსა და თევზჭერის სფეროში ჩართული მეწარმეების გამოკითხვას - ამ შემთხვევაში რესპონდენტების შესარჩევად „ეისითის“ გუნდი დაეყრდნო ორ მეთოდს:

i. შემთხვევითი შერჩევა „საქსტატის“ მონაცემთა ბაზიდან. კერძოდ, შერჩევა დაეყრდნო „საქსტატის“ ბიზნეს-რეგისტრს, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის (NACE Rev.2)[6] მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე, შეირჩა კვლევაში მონაწილე პირები, რომლებიც საქმიანობენ მეთევზეობის დარგში შემდეგი მიმართულებებით:

<u>სექცია A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა</u>
03 თევზჭერა და აკვაკულტურა
03.1 თევზჭერა
03.11 საზღვაო თევზჭერა
03.12 თევზჭერა მტკნარ წყლებში
03.2 აკვაკულტურა
03.21 საზღვაო აკვაკულტურა
03.22 მტკნარი წყლების აკვაკულტურა
<u>სექცია C დამამუშავებელი მრეწველობა</u>
10.2 თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება
<u>სექცია G საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი</u>
46.38.1 საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით
47.23.0 საცალო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

ii. შერჩევა „თოვლის გუნდის“ პრინციპით[7]. „საქსტატის“ ბაზაში მოცემულ პირთაგან ბევრთან დაკავშირება ვერ მოხდა. ამიტომ, „ეისითიმ“ გამოიყენა „თოვლის გუნდის“ პრინციპი რესპონდენტთა ნაწილის შესარჩევად ქვეყნის მასშტაბით.

---

[6] NACE (ფრანგული აკრონიმი „Nomenclature statistique des activités économiques dans la Communauté européenne“). NACE Rev.2-ში იგულისხმება “საქსტატის“ მეთოდოლოგია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (სეკ) (2016), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის ევროპულ სტანდარტს: Statistical classification of economic activities in the European Community/NACE Rev.2 (2008). (ავტორის შენიშვნა).

[7] შერჩევა “თოვლის გუნდის” პრინციპით (snowball sampling) შემდეგნაირად ხორციელდება: თავდაპირველად შემთხვევითად ირჩევენ რესპონდენტთა საწყის ჯგუფს, შემდეგ კი საწყისი ჯგუფის წევრებს სთხოვენ, მოაძებნინონ გამოკითხვის შესაფერისი კანდიდატები, შემდეგ ამ უკანასკნელთ მიმართავენ იმავე თხოვნით და ა. შ., რის შედეგადაც მიიღება თოვლის გუნდის (რომელიც თოვლში ტრიალისას იზრდება) ეფექტი. მართალია, საწყის ეტაპზე შერჩევა შემთხვევითად ხდება, მაგრამ მომდევნო ეტაპიდან დაწყებული, რესპონდენტთა ამორჩევა უკვე დეტერმინირებულად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, შერჩევა, მთლიანობაში, დეტერმინირებულ ხასიათს იძენს. ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი მოტივია გენერალური ერთობლიობისათვის არატიპური

საბოლოოდ, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 73-მა პირმა. კვლევის მონაწილეები იყვნენ როგორც ინდმეწარმეები (ფიზიკური პირები), ასევე კომპანიები (იურიდიული პირები). მონაწილეებს შორის იყვნენ მცირე ბიზნესის სტატუსის, ასევე საშუალო და მსხვილი ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები. ჩატარებული კვლევის შედეგები (გამოკითხვაში მიღებული პასუხების ანალიზი) დეტალურად წარმოდგენილია **დანართი 3**-ში.

II. მეორეული (სამაგიდე) კვლევა

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის ფარგლებში ჩატარდა სიტუაციის დეტალური ანალიზი, რომელიც, პირველად მონაცემებთან ერთად, ეყრდნობა მეორეული მონაცემების ფართო სპექტრს, საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე არსებულ სტატისტიკურ ბაზებს და შესაბამისი დარგობრივი ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ დამატებით ინფორმაციას. სამაგიდე კვლევა განხორციელდა სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევებისა და ლიტერატურის გაცნობით. გამოყენებული წყაროების სია, მოიცავს, მათ შორის, ისეთ მიმართულებებს, როგორებიც არის:

- მდგრადი მეთევზეობის დარგში არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები, საერთაშორისო და ეროვნული სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტები.
- მდგრადი მეთევზეობის განვითარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევითი ანგარიშები, მიმოხილვები და შეფასებები.
- სხვადასხვა საპროექტო დოკუმენტები, რომლებიც გაუზიარა კონსულტანტ ორგანიზაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და Sida-ს გუნდმა.
- ოფიციალური სტატისტიკის სამსახურებისა და შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ წარმოებული მონაცემები და სტატისტიკა.

თევზჭერისა და მეთევზეობის მიმართულებით საჭირო მონაცემების შეგროვება მოხდა შესაბამისი ეროვნული საჯარო უწყებების (მაგალითად, „საქსტატი“, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) ვებ-გვერდებზე საჯაროდ განთავსებული ინფორმაციის მოპოვების გზით. თუმცა, კვლევისთვის მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაციის დიდი ნაწილი თევზჭერის დარგში არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და აქედან გამომდინარე, დამატებით, საჭირო მონაცემების მოპოვებისთვის დაკავშირება მოხდა შესაბამის დარგობრივ უწყებებთან, საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქსტატი“);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;

მახასიათებლების გამოვლენა და მოხერხებულია მცირე, დახურული ან მარგინალური ჯგუფების კვლევის დროს. (წყარო: ნინო დურგლიშვილი (2006). "სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი"). (ავტორის შენიშვნა).

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აწარმოე საქართველოში;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- „საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაცია“;
- „საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“;
- საქართველოში თევზჭერის ლიცენზიანტები შავ ზღვაში (სულ 5 ლიცენზიანტი) და თევზჭერის ლიცენზიანტები შიდა წყალსატევებში (სულ 7 ლიცენზიანტი);

ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია გაანალიზებულია და დეტალურად ასახულია კვლევის სოციალურ-ეკონომიკური შეფასების ნაწილში, რომელიც წარმოდგენილია **დანართი 4**-ში. აღსანიშნავია, რომ „ეისითის“ მიერ ორგანიზაციებიდან მოთხოვნილი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი მაინც დარჩა ღიად, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი ორგანიზაციები არ აწარმოებდნენ შესაბამისი მონაცემების აღრიცხვას და სხვა შემთხვევაში, ზოგიერთი ორგანიზაციისგან (უმეტესად, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებისგან) პასუხები არ იყო მიღებული.